




ქართული
ბიბლიოთეკა

ნაკადული



საშენებლო ჟურნალი



მცირეფორმანაგობის

საქტემბერი №№ 17-20 1917 წ.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.



დასუსრათებული საშვავვილო უზრნალი

წელიწადი
მეთოთხმეტე.

„ნაკადული“

წელიწადი
მეთოთხმეტე.

უზრნალი გამოვა ჩვეულმებრივი პროგრამით
საგანებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა რედაქციას, ედგება მცირე-წლოვანთათვის წინანდელივით **ორი წიგნი** გამოსცეს თვეში და მოზრდილთათვის—**ერთი წიგნი**; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, 32 გვერდი, და ერთი წიგნი—მოზრდილთათვის.

ფასი ეურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—12 მან. ნახევარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილობრივად.

რედაქციაში არის გახული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадул“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძისთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინსარაძისთან, ფოსტაში, რ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძისთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან რ. ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ზონში**—მ. ი. კავჭანიძისთან. **მიხაილავოში**—გიორგი ნაკაშიძისთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძისთან, **ლანჩხუთში**—მასწავლებელ ჯულელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ. პავლე იოსებისძე თუმანიშვილი.



8185-7

1918

მხედრობა

წელიწადი 80-XIII.

№ № 17—20.


1917 წ.



მონადირე

შინაარსი

I—მონადირე, —სურათი.....	1
II—შემოდგომა დგება, —ლექსი დ. ელიოზიშვილისა.....	5
III—ცუგრის დღიური, —ვედრებისელოსა.....	6
IV—გალია, —(პიესა ერთ მოქმედებად)—დ. კასრადისა.....	12
V—ზღაპარი, —(ხალხური) ჩაწერილი სავლე აბულაძისაგან.....	17
VI—ქოლგა და კალოშები, —თარგმანი იტა ნაკაშიძისა.....	20
VII—ქურდი ლადა, —ლექსი ზ. გოგიბედაშვილისა.....	26
VIII—როგორ შეაჩერა მალუმ მზე, —ჰაეაიური ლეგენდა, თარგ- მანი ზინა ანთაძისა.....	28
IX—კულდა-კულდა არაკები: —უვარგისი მახწავლებელი. ილ. გო- გიასი.....	30
X—გასართობი: გამოცანება და რებუსი.....	32



შემოდგომა დგება

შემოდგომა დგება,

ე, ბაღისი კვდება;

ფოთოლი გაუვითლებულა,—

შტონი სული ჭხდება.

ღრუბელია ცაზე,

ტაღისია გზაზე,

მერცხლებიცა ჭიკჭიკობენ

სამშუსარო სმაზე,—

მშვიდობითო ეველა,—

იძახიან ნელა.

ახლაკი შორს გაუფრინდებით:

აქ მოგვესწო ღხენა.

შემოდგომა დგება,

ეჭ, ბაღისი კვდება,

ფოთოლი გაუვითლებულა,—

შტონი სული ჭხდება!..

დ. ელიოზიშვილი





ცუგრის დღიური

I



ამა-ჩემი ერთი საცოდნავი, ავადმყოფი ძაღლი იყო. შავი, ჭკუჭიანი, მოკუნტული. სიფხისლეკი არ აკლდა. როგორც რომ გვიგებდა ხმურობას, ან ერმის ჭრილს, იმ წუთში გამოვარდებოდა ბოსლიდან და დაიწეებდა ეეფას.

— იუავი შინ! — ხანდახან შეუტევდა დედა-ჩემი: — ხომ სედავ—ჯანი აღარა გაქვს? ბიჭები უნდა გავიდნენ და შეაშინონ მტრები.

— ჭე! — გულ-მოსული უპასუხებდა მამა-ჩემი: — ცუგრი ჯერ ბავშვია. ქედსაც ძლივს შეუსრულდა ერთი წელი. ჯერ მაგათრა ღონე აქვთ — შეაშინონ მტრები. მინამ ზირში სული მიდგია, მოვალე ვარ ერთგულად ვემსახურო მებოსლეს.

— დას, — დაცნვით მიმართა დედამ: — თვითონ შიერთვან მანონი, დო, კარაქი — შენ კი... კეტები, ლანძღვა, თრევა...

— რა ვქნა! — ამოიოსრა მამა-ჩემმა, — ჩვენ სომ კატები არა ვართ! კატამ იცის: თუ არ აჭმევ, ოჯახს თავს ანებებს. ჩვენ ძაღლები ვართ, მუდამ აღამიანის ერთგული მეგობრები: გვაჭმევენ, თუ მძივრები დავდივართ.

— კიშრა, — უთხრა დედამ: — ჩვენი ცუგრი ძლიერ მოსწონთ ბატონიანთ. თუ წინააღმდეგი არ იქნები, მოდი მიუცვთ იმათ: კაი ოჯახია.



— ალერსიანად ექცევიან ზირუტეებს, — დაუმატე მე და სამი ჩქროლდა გული: — შეშინოდა, რომ მამა-ჩემი არ გაძიშვებს ბოს-ლიდან.

— შერე შებოსლე კი მისცემს ცუგრის?

— მამა შენა ხარ: შებოსლეს რა შეუძლია?

— ჰკითხე იმას; მე კი დაუთმობ ცუგრის: კაი ზატვიში ევოლებათ იქ ჩვენი შვილი.

— მამა, მეც იქ გავუვები! — წამოიძახა ქედამ.

— გახუძდი! — შეუტია მამამ. — იქ არა ბძანდებოდდი, რომ გოფრინეს, შემწვარი ღორის სორცი რომ მოჭხარე!

ჩემი მამა გახუძდა, ჩაღუნა თავი.

სრულიად დაბნეულა. მოვიდა ცივი და წვიმიანი ღამე. ძალე ჩვენებმა დაიბინეს, მე კი არ შეძინებოდა; თან ფიქრები, თან სიცივე — კარში ვეუარნეთ — არ მძლევდნენ მოსვენებას. მომაგონდა ბატონიანთ დახურული აივანი, ჩულის ნაგლეჯი...

II

— რაღა ეკ ძაღლი მიტეავთ? — გაჯავრებული სმით კკითსებოდა ძელიკოს მისა შებოსლე. — მამ როგორ უნდა დავჩნე მე? საქონელი რომ მომხარონ?

— სამი ძაღლი შენთანა რჩება, ცოტაა?

— სამი? — გაიღიმა მისა. — ჯერ წაიუვანეთ ცუგრი! დედა მამა, მშები იმას გამოჭევიან.

— ჩვენ მარტო ცუგრი გვინდა, სულ მარტო დგას ჩვენი სახლი, ძიურუებული. უძღლობა მწელია, — უთხრა მისას ძელიკომ და თან თამაშობა დაძიწო:

— ცუგრი! ცუგრი! ცუგრი!

მეც რაც შეშეძლო ვსტოდი! თან ულოკავდი ძელიკოს ხელებს. მიუვარს გამჩენი ღმერთი, დედა-მამა და ჩემი ძელიკო! როცა იმას დავინახავ სოღმე, ფესზე აღარა ვარ სისა-



საქართველოს
საქართველოს

რულისაგან. თითქო ჩვენ ძაღლები, იმისი შვილები, იმისი
შვილები, იმისი დები ვართ—ისე იცის ჩვენი აზურსი და მუდამ
ზრუნავს, რომ ჩვენ არ დავიშვით. სადილობის დროს იმათ
ეზოში თავს მოვიყრიდით ერთი ზთიოდე სოფლის ძაღლები.

— ძვლები მანც მიუყარეთ ამ საცოდვეებს!— ეტუოდა სოლმე
მელიკო იმას, ვინც ტრიალებს სამზარეულოში. მინამ იქიდან
ვინმე გამოვა— მოგვიყურის ჩვენ კუტებს, გამხმარი ზურის ლუკ-
მებს.

— ცუგრი, ასლა შენ ჩვენი ხარ: აღარ წახვიდე ბოსელ-
ში!— მიბრძანა მელიკომ. მე შევხედე დაღონებული თვალებით.
იგრძნო მელიკომ, რა დარდი მაქვს და მსიარული კილოთი
მიიხრა:

— გეხუმრები, ცუგრი! ნება გაქვს, რომ მუდამაც სადი
ლად მოიყვანო შენი ოჯახი!..

პრიელ გამეხარდა. ერთხელ ბევრი ძვლები მომიყარეს. რომ
მოვიგონე ჩემი მშვიერი დედამაშა, მშა, ლუკმა უელზე დამადგა.

III

აივანზე ფანჯრისკენ ჰატარა ტახტი იდგა. როცა გაა-
ღებდნენ ფანჯრის დარბაზებს, მე მივიდოდი სოლმე და ოდნავ
დავუკაკუნებდი მელიკოს.

— ცუგრი, კმინა?— მკითხავდა სოლმე, როცა გამიღებდა
კარებს.— კაი ცუტა ხარ შენა, კაი. აჭა. მიირთვი!

და დამიურიდა აივნის კუთხეში, რაც დარჩებოდა ვანშმის
შემდეგ.

— ეს ძლიერ ფხიზელი და გულადი ძაღლია!— უთხრა
ერთხელ მელიკოს შებაღე სამსონამ.— ღირსია, რომ ჰატევი
გვახს. გუმინ ვოჩაღად იფრინა ოთხი ღორი.

— მხოლოდ შემინან, მგელმა არ მოიტაცოს; ჰატარა
ძაღლია. როგორა გტონია, ის სავერნე აითრევს ჩემ ცუგრის!

მელიკომ თავსე სელი მოძისუა. მე ვიგორქენი, როგორ უეწარვარ და აულოკე სელეები.

ჩემი ნათესავეები და ამხანაგეები დამხატროდნენ:

— რა ბედში ჩავარდი, ცუკრი! მუდამ მამდარი ხარ, არა ვინ არა ცცემს!—მეუბნებოდნენ.

ერთხელ ძლიერ ბნელი ღამე იყო. რაღაც შემოქმედს. გავექანე ვენახისკენ. როვლობა ახლოვდებოდა. ქურდები დადიოდნენ. რომ გავიგე ვახსებში ფახი-ფუჩი—გულადად შევეუფე. ჩემკენ გამოიქცა სამსონა; თოფი გაისროლა. შემდეგ ვიღაცეები ტყაპ-ტყუპით ღობიდან გადავარდნენ.

როცა შინ დავბრუნდით, ვნახო—რაღაცა კდია ტახტზე.

— ეს რა არის?—გაევიკვირე.

— შენი ლოკინია!—გაიღიმა მებღემ.

— ცუკრი!—გამოვიდა აივანზე მელიკო:—ჩაწევი ლოკინში, კაი ძღლი ხარ!

და მოძიგლო ერთი კუტი. შევექცევი ვახსამს, ტკბილ ძღლს თავი მივეცი. როცა რიქრახზე გამოვიღვიძე—ძლიერ ციოდა. ზირველი ჩემი გრძნობა იყო მადლი, მა მელიკოსი, რომელმაც დამიძტვიცა სიუვარული თავისი სრუნვითა. აბა რომელ სოფლის ძღლს ინახავენ ისე, როგორც მე? ჩვენ ძღლეებში რომელსა აქვს ჩული? რომელია მუდამ მამდარი და წვეს დახურულ აივანზე?

— უფალო, მიცოცხლე ჩემი მელიკო!

მაგრამ რაღაც მანუსებდა. რა? კარკად ვერ გავარჩიე. შემდეგ, როცა მომაგონდა ცხოვრება სხვა ძღლეებისა, ერთმა ახრმა მომიწამლა სიხარული:

— რათა ვარ ბედნიერი მარტო მე? ჩემი დედ-მამა სადღაც ურმის ქვეშ ურიან, ტლახოში, ან თოვლში. თუ შეჭეოფენ თავს ბოსელში, ღუსა კეტებს უდერებს, სცემს; იშვიათად შინა მიუგდებს მჭადის ნატყსს. მივარდებიან სამნი, ოთხნი იმ ერთ



ლუკმას და მოსდით ჩსუბი. იმ კვირია ვენახში მოჰკლეს ჩვენი
მაძიდაშვილი ჭალკა: ეურმენსა სწამსო. მა რა ექნა, რომ ზა-
ტრონი არაფერს არ აჭმევდა. განა არ ვიცით, რომ ჩვენი
ძაღვების საქმე არაა ეურმენის ჭამა? მაგრამ მშვიდი რას არ
შესწამს? ქარცა და სიმინდის ფქვილი სომ ვეყლას აქვთ;
განა ძველია ხალიფაფის გაკეთება? მაგრამ ვინ ზრუნავს ჩვენ-
თვის? ვინ აფანებს ჩვენ ერთგულ სამსახურს? ჩვენც სომ ღმერ-
თის გაჩენილი ვართ? მხოლოდ არა გვაქვს ენა, თორემ ვე-
ლაფერს კარგად ვკრძობთ; გაძიგია, ქალაქებში ზოგ ძაღ-
ვებს თბილ ჩასაცმელებს უკერავენო; ჩვენ ვინ გვაღირსა?
ნეტავი მაძღრები ვიყოთ, სიცივეს როგორმე ავიტანთ. რამ-
დენი ჩვენი მშვიდი ძაღლი რამეს შესწამს იმისთანას, რომ
ცოფიანდება, მერე ჰკლავენ...

ამ ფიქრებში მოძივიდა ტირილი.

მოულოდნელად გამოვიდა მელიკო, ფარანი მომანათა,
მოძიანდეს:

— ცუგა, შენ კაი ლოჯინში ბძანდები!

მერე დამაცქერდა და უთხრა გამდელს:

— მარო, შეხე, ტირის ცუგრი! ნეტა რა დარდი აქვს ამ
ზაწია ძაღლს?!

— კარგი ერთი, ნუ ანებივრებ!— შეუტია მარომ:— მარტოკა
გდიბ და იმიტომ ტირის! უჩულოთ კი ვერ დაიძინებდა?!

— შეკშურდა, — ჰკითხა მელიკომ, — რომ შენ ძაღვებს არა
აქვს ჩული?!

— ჩული კი არა, შავი ქვა სომ არ უნდათ?! არა, კენაცვა,
მე შვილებსაც არ ვანებივრებ, და ძაღვებს გავანებივრებ?!

IV

ჩაბარგებული ურემი იდგა ეზოს კარებთან. კამეჩები ღუ-
ჭავდნენ ჩაღას; მელიკო ეუბნებოდა სამსონას:

— ცუგრი დაკეტე, თორემ სადგურში წაძოვა, ძაღლები დაგლეჯენ, ცოდობა. კეთაუვა არ მოაკლო სალაფავი! ნახვამდის!

— მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ამოპიჯდა გული. დავიწვე ტირილი... წავიდა ჩემი მეგობარი, ჩემი სისარული.

— შენ გენაცვალე, მელიკო! ნეტავი ძაღვ მოვიდეს საფხული და კიდევ შეღირსოს შენი ნახვა!

დ. ვედრებიხელი





პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედნი:

დედა,
მამა,
ცქრიალა,
სოფლელი გოგო,

მათიკო (ჯაფარა),	ამ როდებს ცქრიალა ასრულებს.
მურიკო,	
ციცო,	
ტიკინები.	

(ლაზათიანად მორთული სააგარაკო ოთახი. რამდენიმე კარი. ღია სარკმელებით მოსწანს მშვენიერი სანახაობა. ბაღის სურნელი იჭრება ოთახში. მამა სავარძელშია, გახეთს კითხულობს. დების ცხრა საათი დაკვავს. უფროც ბავშვების ხმა შემოისმის, კინკლობა, წივილი, რასაც ჩხუბის ხასიათი აქვს.)

მამა (ხმაურობაზე ყური სცქვიტა). კიდეკ!.. ის ბრის!.. ცქრიალა!.. ცქრიალა!.. (მოუსვენრად აპირებს წამოდგომას).

გარედან ბირველი ხმა. შოპეცი, ცემაა...

მეორე ხმა. ცემაა-მეთქი...

ბირველი. (თითქმის ტირილით). შოპეცი... ღა ვქნა... შოპეცი, თოლე შამას ვეტყვი...

მამა. შენ და შენ თავსა, ცქრიალა!.. (წამოდგება, სარკმელით გადახედავს). აკი ვთქვი! რა ამბავში ხერ... რა ამბავში... დედა-კაცო, მიხედე, ერთმანეთს დახოცენ.

დედის ხმა (გაჯავრებით). არა, იპიტომ გამოვიძვი, რომ ქვეყანა აიკლო?

მამა. კარგები ურტეი და ისე შემოიყვანე.

დედის ხმა. აღარ შემიძლიან, გეთაყვანეთ, ეს ბავშვი გადამაჩინა...
 შიტანს... მიეცი, დედაც და თვალთ.

პირუ. ხმა. ცემია-მეთქი!. (უკვე ტირის).

მამა (მოტრიალდა). ჰუმ! წადი და ინატრე შვილების დასრდა!
 სულ ნარზე უნდა იჯდე, რომ არა დაემართოს-რა. (შემოდინ:
 დედა, ცქრიალა და სოფლელი გოგო).

მამა. რაო, ახლა სოფელი უნდა კადანატრიალო?

ყქრიალა (ილიაში ჯაფარა ჰყავს დაბლუჯული. შიშით კანკა-
 ლებს, თან ცრემლს იწმენდს). დედა ალ მომიკვდება, ცემია, მე
 დავიჭილე.

სოფ. გოგო. აბა ლოდისა, მე ალ დავიჭილე?

მამა. თუ მაგისია, მიეცი.

ყქრიალა. დედა ა... (კალთას მოეფარა).

დედა. კარგია, ვინც დაიჭირა—დაიჭირა. ძორწით, გაბთა-
 კეთ...

სოფ. გოგო (ატირდება). ეგ მე დავიჭილე და მომტანა.

მამა (მოღებება). კარგია... დაიჭირე და დაიჭირე... ეგ ჯაფარა
 მაგას, შენ კი, ჩემო კარგო, ისეთ რამეს განუქებ, რომ დედამ
 სულ თვალში ჩაგისვას. (ფულს აჩუქებს), უთხარი დედას, კარ-
 გი კაბა გიყიდოს.

სოფ. გოგო (სიხარულით). დიდილმე. (მირბის).

მამა. აჰა, სომ დაიმშვიდე გული. ახლა წავალ და ჩემს
 მოსვლამდის თუ კიდევ რამე ჩაგიდენია, მაშინ ნახავ, ჩანკალ-
 ზე ჩამოგკიდებ და სულ ტურიკოებს შეგატყვევინებ. (გადის).

ყქრიალა (მოიშხიარულა). აღსადაც ალ წავალ. სუ მათიკოს-
 თან ვიქნები.

დედა. წამოდი, შეილო, ჩაი დალიე. სულ წანწალი და
 ცუდლუტობა არ ივარგებს.

ყქრიალა. ალ მინდა. (გულზე იბუტებს ფრინველს, შივა კუთხე-
 ში, ფრთებს მზრუნველობით უწმენდავს, ეალერსება, თავზე ხელს უსვამს
 და თან ეტიტინება): გმიან მათიკო, გმიან?

მათიკო. შაქალი უნდა მათიკოსა.

ქრიალა. ჭოო? აი, დედილო, მათიკოს შაქალი ნდომებია...

დედა. ცოდობა, შვილო, ნუ აწვალე... დასვენე... სული
 შობათქვენი... წამოდი, ჩაი დალიე... შენც დაისვენებ, ეგპრ
 და ერთმანეთს ძაღვ შეეჩვევით.

ქრიალა. თუ ალ მინდა, ღა ვქნა. შაქალი გინდა? ჭოო?
 (შიორბენს საშაქრესთან. ვენიტს ამოიღებს და სთავაზობს). ჭამე, გე-
 ნაცვბ, სუ შენია, შენია...

დედა. მოიცა, შენს ოსტმინაც მოვადლ... (კარებს შეუზნეველად
 მიკეტაქს, გავა, გარედან სარკმელგბსაც გაიზურავს).

ქრიალა. ღაო, მშვენიელო, ღას დამიღონდი? გავაგლებ?
 აბა ლოდისა? შენ სომ ცეში მათიკო ხაღ?..

მათიკო. შაქალი უნდა მათიკოსა!..

ქრიალა. გავიგე, გავიგე, ქაბბატონო, ამიტომ მიწულები?
 ძელე ღატო ალ შიიღთმევე? იქნებ დედოფლობა გსუნს? წა-
 ვიდეთ, წავიდეთ. (იატაქე დაჯღება, გაღმოაღაგებს სათამაშო ნივ-
 თებს, ტიკინებს, ციცოს, მურიკოს, ყველას მაგოვრათ ლაპარაკობს).

ჭიკინი. დიღა მშვიდობისა, ქაბბატონო, ღოკოლ ბძანდები.

მათიკო. კაღგა.. შენა?

ყიყუნი. მეც კაღგათ, ქაბბატონო.

მათიკო. შაქალს ალ შიიღთმევე?

ყიყუნი. მაღლობ, ქაბბატონო!

ქრიალა. ესეც ცვენი მუღიკობა. ბღველია მუღიკო. (თითს
 წაჭკრავს, გადააბტუნებს. ჯაფარა აფხვერით გაეშვება. გაღიხარხარებს).
 ჭა-ჭა-ჭა! ღას შეგეშინდა, ქაბბატონო? ეგ ისეთი კეთილი მუ-
 ღიკობა, ღო.. ალა, მუღიკო?!

მურიკო. აუჰ, აუჰ! (ჰყვებს).

ქრიალა. ცუშათ, მუღიკო, გეკოფა... გეკოფა... ქაბბატონი
 მათიკო ნუ შეშიშინე. (ბუროს გაუგორებს), ეგ შენა... ცვენ აქ
 ვითამაშებთ.

ფიკინი. ახლა, ქალბატონო, მუღაბა ლა უკავი? ალ გვან
 ტიზობ? მათიკოსაც უნდა მუღაბა.

ქქრიალა. უი, დამიდეკს თვალი... ქა... ლოგოლ დამხვი-
 წედა.. ახლავეე, ახლაე. (წამობტა) დედილო, დედა... დედიკო...
 ე სტუმლებს მუღაბა უნდათ.. (დუმილი). დედი... (მოტრიალდა)
 ლა ვქნა, ქაბატონო, ლა ფთები დავიშვიან?! (მიტრიალდა) დედი..
 მუღაბა უნდა მათიკოსა.. (აქეთ) ნუ გეშინია, ქაბატონო, ახ-
 ლავე იქნება. (იქით) დედა, დედიკო!. (მიიჭრა კარებთან) დედი-
 ლო!. დედა!. (შეორე და მესამე კართან) დედა!. (შეკრთა, შეჩერდა,
 სახე მოეღრუბლა) დედიკო! (სარკმელთან) დედი.. ლა ვქნა.. დე-
 დიკო!. (კოპებ-შეკრული მუშტსა სცემს). დედა.. დედა.. (ფეხის ბრა-
 ხუნი ააყოლა), დედი.. დედი.. (ხმა მალდა), დე... და!.. (სიანჩხ-
 ლით) გაბდე-მეთქი, გაბდე!. (კარებთან მიკრება და ფეხს მისცებეს
 ტირილზე გადადის), დე-და-ა!! დედა!. (მისცებეს კიდევ ფეხს და ახლა
 სავარძელს მივარდება და ხან სარკმლისკენ, ხან კარებისკენ ისვრის მუ-
 თაქებს, ბალიშებს, თან ფეხების ბრაგუნით ღრიალებს), დედა-აა.. დე-
 და-აა!... (ბოლოს ციკოს, მურიკოს და ბურთსაც გადაისვრის, დაეშო-
 ბა სავარძელზე და ღრიალს შორთავს. ამისობაში შეუშინველად შემო-
 დის დედა. იღიმება, მარწყვი და ყვავილები უჭირავს).

დედა. ჩემი შვილიკო ვინ არის.. ჩემი კატა გოკონა..
 ჩემი ცუგრუქელა.. რა გატირებს, გამახარე? ადექი, შვილო,
 აგერ აქ არა ვარ.. (აყენებს).

ქქრიალა. (ფეხების ბარტყუნით) ამინდა!. ამინდა!. ამინდა!

დედა. რა არ გინდა, შვილო? აი, მარწყვი მოგიტანე. შენ
 მათიკოს აჭამე.

ქქრიალა (ხელს დაჰკრავს და მარწყვს დაუბნევს). ამინდა.. ამინდა..

დედა (მიიხუტებს). კარგია, გენაცვალე, თორემ თვალები
 გაგიშავდება.. აბა, რა გატირებს? რა უეზვი შენი მათიკო? უი,
 საწყალი, შეხედე, როგორ კუთხეში აბუხუღა!. სომ ერთმანე-
 თი არ გააჯავრეთ? მიდი, განმხიარულე.. აი, ახლავე მურა-
 ბასაც ჩამოგიღებ.

ქქრიალა (გულს იბრუნებს). კბლი ლათ დაკეტე?



დედა. მერე და რა უმაკვ? აქ სომ არა გაკლდა-რა? ეგ
 ლანიც აქ იუავით, შენც, შენი მათიკოც, ციცოც, მურიკოც...
 მოგეწეინა განა?

ქროიალა შენც მინდოდი და მუღაბაცა.

დედა (ოცრის). ვიცო, ვიცო... უნემოდ ვერ სძლებდი... განა
 არ გავიგონე შენი სმა. რად გინდოდა დედა? გიუვარს და იმი-
 ტომ?.. მერე შენ გკონია, რომ მათიკოს კი არ უუვარს თავისი
 დედა? აბა შეხედე, როგორ მობუზულა. საწუალი! ეგვეც ნა-
 დვლობს... მაგისტვისაც ეს ოთახი ისეთივე გალიაა და აუტა-
 ნელი, როგორც შენთვის... შენ კი არ ეშუები... ფრთებს აგ-
 ლეჯ... ახლა ეკ ტირის, შვილო, როგორც შენ ტიროდი...
 მოდი, იცი რა, როგორც მე შენ გიპატიე, შენც ეკ იპატიე
 და ამ ტყვეობიდან განთავისუფლე...

ქროიალა (თვალვს ისრებს, რამდენჯერმე დაასლოკინებს). ძველ სად
 გაუსვია?

დედა. სად? ეკ სულ ადვილი საქმეა. წავიდეთ! დედის სე-
 ლად იპოვნის, ოღონდ შენ სუ ჩაერევი მაგის საქმეში. აბა,
 წამოძეე... ეგვეც დაგლოცავს, მაგისი დედაც... შენ სულსა
 და გულში მაგისი მადლით გაიძლება დიდი, დიდი ტოტო-
 ჩინა ევაგილი და სულ ლამაზ კუნწულა მარგალიტებს კად-
 მოგიურის...

ქროიალა. კუნწულა მაგალიტსა?

დედა. ჰო, შვილო... აბა, მოძეევი...

ქროიალა (ჯაფარას იყვანს. შესდგება. ლაპა-ლუპით ცრემლები ვაღ-
 მოსცივია. გულში მიიხუტებს, აკოცებს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად). სუ
 კუნწულა მაგალიტსა, დედა?

დედა. ჰო, შვილო, ჰო... სულ კუნწულა მარგალიტების
 საეურეებს... (გაღიან).

დ. კასრაძე

ფარდა.





ზღაპარი

(ხალხური)



ყო ცოლ-ქმარი. ძლიან ღარიბები იყვნენ; წავიდოდნენ ტყეში, მოსჭრიდნენ თითო კონა მემას, ჭეიდნენ და უიდულობდნენ ჰურს.

ერთსელ-ქმარმა უთხრა ცოლს—ღავდგები მოჯამბაგირედო. ცოლმა უთხრა—კარგო.

ქმარი წავიდა ქალაქში და იძახოდა:—ვის აქვს აღბლი ფული, არაძი არ მინდა.

ერთმა კაცმა უთხრა—მე მქვს აღბლი ფული, მხოლოდ აბაზის მერტი არა მქვსო.

დაუდგა მოჯამბაგირედ ერთ წელიწადს. აიღო ერთი აბა-
ზი. იუიდა კატა და გაატანა ნაცნობებს თავის ცოლთან.

კაცები წავიდნენ გზად სსვა სსხელმწიფოში უნდა გაეელოთ. იქ რომ მივიდნენ, დაინახეს, რომ ეველას ჯოხი უჭირავს ხელ-
ში და უცაცსანებენ თავგებს. ამ კაცებმა გაუშვეს კატა. კატამ თავგები სულ აქეთ-იქით მირეკ-მორეკა. ხელმწიფეს მოასსენეს:

—იძისთანა ცხოველი ჭეუავს ერთ კაცს, რომ თავგები სულ აქეთ-იქით მირეკ-მორეკაო.

—რა მოგცე მაკ კატაძიო?—უთხრა ხელმწიფემ.

—ვერა, ბატონო, ვერ გავეიდიო, სსვამ გამოკვატანაო. მოასსენეს კაცებმა.

ბოლოს და ბოლოს დასჯერდნენ ერთი მილიონს. ეს მილიონი ფული მიუტანეს კატის ჰატრონის ცოლს. ცოლმა ააშენა დიდი სახლები. ამ ქალის ქმარი კიდევ დადგა სხვასთან მოჯამბაგირედ. დაასრულა ერთი წელიწადი, აიღო ერთი აბაზი, იყიდა სარკე და მეზობლებს გაატანა სახლში.

როდესაც მიდიოდნენ, გზაზე დაინახეს, რომ იმ ქვეყნის ხელმწიფეს გამოუტანია წვალი, იუბრება წვალში და იკაზმება.

— აი ბატონო სარკე, ამაში ჩაიხედე და ისე მოიკაზმე.— მოახსენეს კაცებმა

ჩაიხედა მართლაც და დაინახა თავისი სახე.

— რა მოგვით მატ სარკეში?— უთხრა ხელმწიფემ კაცებს:

— არა, ბატონო, ამის გაუიღვა არ შეიძლება, სხვამ გა-
მოგვატანაო.— მოახსენეს კაცებმა.

ბოლოს და ბოლოს დასჯერდნენ ერთ მილიონს.

აიღეს ამ კაცებმა მილიონი ფული და მიუტანეს სარკის ჰატრონის ცოლს.

ეს ქალი კიდევ უფრო გამდიდრდა. ქმარი ისევ დადგა მესამე წელიწადს მოჯამბაგირედ. აიღო ერთი აბაზი და წაიღო ცოლთან. ეს კაცი კითხულობდა— სად არის ჩემი ცოლიო. ასწავლეს— აი იმ დიდ სახლში არისო.

მივიდა და დაინახა, რომ მის ცოლს მოსამსახურის ბავშვი ეჭირა ხელში. ქმარმა იფიქრა: ბატონის ბავშვი უჭირავს ხელშიო, და უთხრა:

— ვინაა ეკ ბავშვი?

— მოსამსახურის ცოლისაო, — უპასუხა ცოლმა.

— მოსამსახურე საიდან გვეოლება, შენ თვითონ მოსამსახურე იყავიო. — უთხრა ქმარმა.

— ანა, შენ გენაცვალე! შენ ერთხელ ერთი მილიონი გამოგივსახე, მეორედ კიდევ მილიონიო.

— ფული კი არ გამოგივსახე, შენთვის: ერთხელ კატა გამოგივსახე და მეორედ სარკე, — უთხრა ქმარმა.

— ანა, მე ორი მილიონი მომივიდაო, — მოახსენა ცოლმა. ამის შემდეგ დაიწვეს მდიდრულად ცხოვრება.

ს. აბულაძე





ქოლგა და კალოშები

(ზღაპარი)

ძრალი, მზიანი დღეები იყო. სა-
წვიმარი ქოლგა და კალოშები
მოწვენილი იდგნენ კუთხეში.

— რა უბედური ცხოვრებაა!
ამისთანა მშვენიერ დღეს ამ ბნელ
კუთხეში უნდა ეგდო, — სწორედ

იმ დროს, როდესაც ეველა სეირნობს, სარობს მზის სითბო-
თი და სინათლით! — ბუსღუნებდნენ კალოშები. მხოლოდ წვი-
მასა და ტალახში უნდა ვისექციალოთ, ჩვენი უსიამოვნო ჰა-
ტრონის ფეხებზე; თითქმის ვიდრჩვევით ტალახში; მას კი
ჩვენი დარდი არა აქვს, სრულებით არ ვებრალებით. რად უნდა
ვებრალებოდეთ: კალოშები აცვიან, და მისთვის სულ ერთია.
დიდ ტალახში ჩატანავს თუ ჰატარაში.

— ეჭ, მობილო! — დაუმატა ქოლგამ, — მეც შენთან ერთ
ტაფაში ვიწვი. არასოდეს კარვ დარში არ მატარებს ჰატრო-
ნი. მოვა წვიმა თუ არა, მაშინვე გამშლის და უნდა ავიტანო
კოკისპირული სათქა-სუთქი: ჩემს ტეავზე თითქო თათრების
დაფზე უტეაზუნებენო! მოსაწვენიან ასეთი ცხოვრება!

— გვეყოფა ამ მონიაბაში ეოფნა. ხედავ, ეველა სარობს თა-
ვისუფლებით; მოდი ჩვენც დავადწიოთ თავი ამისთანა მდგო-

მარეობას; შოდი გავისეირნოთ უნატრონოდ, ბატონო ქოლგავ.—უთსრეს კალოშებმა.

— დიდი სიამოვნებით; მე ეოველთვის მსადა ვარ კარვ საზოგადოებაში გავურო.

გადანწყვიტეს გაქცევა. როგორც კი ფოსტის დამტარებელს მსახურმა კარები გაუღო, ქოლგა და კალოშები ღია კარებში შეუშინველად გაძვრნენ.

— ოჰ, რა მშვენიერება! — თავისუფლად ამოისუნთქეს კალოშებმა, თითქო უნდოდ ბევრი სუფთა ჰაერი ჩაეელანათ.— არც წვიმა, არც ტალახი. ვისეირნებთ, და შინ მშრალად, სუფთად დავბრუნდებით.

— მართალს ბრძანებთ, მეტად სასიამოვნო დღე დაგვიდგა სასეირნოდ! — დაუმატა ქოლგამ.

გავიდნენ ეზოდან და დაადგნენ ბულვარს. გამელეღამომკვლელთ უკვირდათ: შედაკდნენ მარტო კალოშებს და ქოლგას, თითქო კალოშები ადამიანის ფეხებზე იყვნენ ჩაცმულნი და ისე მიდიოდნენ; ქოლგა კი თითქო ვინმეს სეღში ეჭირა. ერთი ჰატარა ბიჭი გამოუდგა კალოშებს, ძაგრამ ვერ დაეწია; დაეცა და ცხვირი იტკინა. ერთმა გამვლელმა მოისურვა ქოლგა სეღში აეღო. ქოლგა ისე მოტრიალდა, რომ კაცს ქუდი თავიდან გადაუგდო. ერთი სიტუვით არც კალოშებს, არც ქოლგას სრულებით არ უნდოდათ ისევ თავის ბეღ ციხეში დაბრუნება. მოზოებულ თავისუფლებას ასე ადვილად



ქოლგა და კალოშები მოწყვნილი
იდგნენ კუთხეში.

არ დასთმობდნენ. მგზავრებს ეძინოდათ მათთან ახლოს მისვლა და გზას უთმობდნენ. ამიტომ ისინი არსეინად მიბრძანდებოდნენ.



ერთი პატარა ბიჭი გამოუდგა კალოშებს, მაგრამ ვერ დაეწია.

— ჰსედავთ, როგორ ჰატყვსა გვცემენ! — ამბობდნენ კალოშები. — ვინ გვაქცევდა უურადლებას, როცა ბნელ კუთხეში ვიყავით მიძალულნი, ან როცა ტალახში ამოთხუანულებს ჰატრონი ფეხით გვატარებდა.

— შეკი გაბუბდავდი წინად ვინმეს თავიდან ქუდის გადაგდებას! ოჰ, ნეტა ახლა შემსვდეს ჩემი ჰატრონი! აი რას ნიშნავს თავისუფლებას! — ამბობდა ქოლგა.

— დიადაც რომ კარგია თავისუფლებას! მაგრამ ჰსედავ, ბატონო ქოლგავ, მგონია წვიმა მოდის.

— როგორ არა! სცაბა ქარიც ამოვარდებას, — მიუგო ქოლგამ.

— ეს არ არის კარგი; წახდა ჩვენი სეირნობა, — სთქვევს კალოშებმა. — მოდი აი იმ კარავში შევაფაროთ თავი, სადაც ბავშვები თამაშობენ; ისინი კი გავრევით იქიდან: დაე გაიწუწონ წვიმაში, როგორც ჩვენ ვსველდებოდით მონობის დროს.

თქვენ და გაეშურნენ კარვისაკენ, მაგრამ ამ დროს დაუბერა ქარმა, დაიჭექა და კოკისწირული წვიმა წამოვიდა.

წამოვიდა ნიაღვარი და ხეები კალოშები წელის ტალღებში გაიტაცა. კალოშებს უნდოდათ რაღაც დაევირათ ამხანაგისათვის, მაგრამ ტალღამ ააწვია და ჩასძირა.

ქოლგა ქარმა გაძლავა და გაიტაცა. ქვაფენილზე გადაბრიალდა, შემდეგ აიტაცა ხის ტოტებსზე შეაგლო და ჩამოაცვია. როცა გამოიღარა, მსუქი გამოაშუქა და წყალი დაზარდა, კალოშებიც გამოჩნდნენ, მაგრამ სხცოდავები წყლით, სილითა და ქვებით საფხენი იყვნენ და ადგილიდან ვეღარ დაიძრნენ.



ქოლგა ქარმა აიტაცა, ხის ტოტებსზე შეაგლო და ჩამოაწვია.

ამ დროს ვიდაც დატაკმა გაიარა, დაინახა კალოშები და სისარულით შესძახა — კარგი განბი ვინაოყენ, დმერთმანია!

ამოიღო ტალახიდან, გაწმინდა და კიდევ უფრო გაუნარდა.

— სულ ახლები ეოფილან, ასოებიც აკრავთ! შემძლია კარგ ფასში გავეიღო და ერთი გემრიელი სადილი ვჭამო!

ამ დროს ქუნაზე მოსამსახურე გოგო მობრბოდა. დატაკმა მიამახა:

— ქალბატონო არა ცნებავთ ახალი კალოშები იუიღოთ!

ქალი ახლოს მივიდა, შესედა კალოშებს და გაკვირვებით შესძახა:

— დმერთო ჩემო! ეს რომ ჩემი ბატონის კალოშებია! ასოებიც მისი აწის! ჰსედავ, მობილო, განარულან ქოლგასთან ერთად. შე ამათ ვეებ, და აი სად მობრძანებულან!

— მე ტალახში ვიპოვე, — უთხრა ღატაკმა.

— დიან, სწორეთ ჩვენი კალოშებიან! ამათ ძალიან უყვართ ტალახი. ჩემი ბატონი რომ სახლში ბრუნდება, დიდხან უნდები ძავათ წმენდას: სულ ამოთხუნიულები არიან ტალახში!

— სტუეი, სტუეი! — უნდოდათ დაეძახათ კალოშებს, მაგრამ შეეძინდათ — მოსამსახურემ ისევ არ გადაგვადგოს ტალახშით, და სმა გავძინდეს.

— რა მოგცე, ძმობილო! — ჰკითხა გოგომ ღატაკს.

— ათი ძაური მიბოძეთ, — მიუგო მან. — ერთ კარვ სადილს ვჭამ თქვენი კალოშების სარჯზე.

— მიირთვი, დემრთმა შეგარვოს. ახლა იმისთვის მივრბოდი, რომ შეეიდნა სსვა კალოშები. ბატონი სახლში შელოდება; მიეჩქარება სხვაგან და უკალოშოდ ვერ წასულა ამ ტალახში. ქოლგა არ გინახავს ამ ქუჩაზე? — დაეკითხა მსახური.

— არა, ქოლგას არ შევხვედრივარ, — მიუგო ღატაკმა.

— ერთობა ქოლგა უფრო შორს გამგზავრებულა; ძებნად არა ღირს. ძველი ქოლგა იყო. მშვიდობით! — მიამხსა გოგომ და გაიქცა.

როცა კალოშები მოუტანეს, ბატონმა ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა.

მივიდა მასთან შევსოვე და ქოლგა მიაწოდა.

— გამარჯობა, ბატონო, იქნება ქოლგა იეიდოთ! სიდან ჩამოვიდე! ერთობა ქარმა შეაკდო იქ. კარგი ქოლგაა: იეიდეთ!

შესუდა ქოლგას ბატონმა და ძლიერ გაუსარდა.

— მომეცი, მომეცი, ჩემი ქოლგა! — უთხრა შევსოვეს.

— თუ თქვენია, დემრთმა მოგახმაროსო. მხოლოდ საზოგნელი უნდა მიბოძოთ რაძე.

— აი ათი ძაური, — მისცა ბატონმა უფლი და გაუდგაკნას.

ძლიერ ბევრი უცადა ჩვენი ქოლგა, რომ ბატონის დასჯიდან ქუდი გადაეკდო, მაგრამ ისე მაგრად ეჭირა ბატონს ხელში, რომ განძრევა არ შეეძლო.

— მსუჰ, მსუჰ! გამარჯობა, ბატონო ქოლგავ, როგორ ბრძანდებით?— დაეკითხნენ კალოძები ქოლგას.

— ტუჰ, ტუჰ! წუნარად ილაპარაკეთ! ზატრონი გაიგონებს, — მიუგო ქოლგამ. — სამაგლად ვგრძნობ თავს. სამ აღავას საშინელი ჭრილობა მაქვს სის ტოტეებისაგან.

— ეგ არაფერია, მოსამსახურე ქალი მშვენიერად ამოგვერავს; არაფერი დაგეტეობა. განა ჩინებულად არ გავისეირნეთ? ნუ თუ ასე ცოტა ტევილმა უნდა შეგაძინოს.

— მართალს ამბობთ: ძლიერ კარგად გავისეირნეთ. — მიუგო ქოლგამ.


— ბატონო ქოლგავ! უსათუოდ ერთხელ კიდევ უნდა გავისეირნოთ. დამეთანხმეთ, რომ ამასე უფრო სასიამოვნო ჩვენ სიცოცხლეში არაფერი შეგვხვედრია.


— დიდის სიამოვნებით, — მიუგო ქოლგამ. — ვინც ერთხელ იტემა თავისუფლება, ბღვილად აღარ მოისურვებს ისევ ბორკილებში ჯდომას და უოველნაირად უცდება გაგლიჯოს მონობის ჯაჭვი და სამუდამოდ თავი განთავისუფლოს.

ამნაირად ორმა მეგობარმა გადასწყვიტეს დაასწიონ თავი უსიამოვნო ცხოვრებას.

— ესენი რომ ამ ბაზსში იყვნენ, მათი ზატრონი ქოლგაზე დაბჯინებული, კალოძების ტეაზატეუებით ხელდა ტალახს, და მათი განხრახვისა კი არა იცოდა რა.

იტა ნაკაშიძე





ქურდი ლაღა



მტის-მეტი ცელქი იყო
და გიჟმაჟი ჩვენი ლაღა;
ერთხელ მასაც კადღვიძა
მოხარული მაწვნის ძაღა;

სთქვა: დედას ხომ ამბარში აქვს
შენახული მაწვნებიო;
სკამს დავიდგამ, ავცოცდები
და როგორმე ჩავძვრებიო.

ერთი ძაგრა გამოვძვები,—
ვინ გამოგებს ამასაო;
დედა ნახავს დაბრძლებს
ჩვენს ციცუნა კატასაო.

ერთხელ, როცა დრო იხელა,—
სუუველანი იუჯნენ კარში,—
ავიდა და ჩაეკიდა
თავდაუირა შიკ ამბარში.


ის იყო, რომ მანვნის ქილას
წაატანა ლადომ სელი,
ამ დროს დედამ შემოუსწრო,
დაუსილა მკვრად წელი;



დედის შემდეგ მამამ სცემა,
მამის შემდეგ დიდებამ;
დაცინება და გაკიცხვა
არ მოაკლეს დამ და მამამ;

აიძულეს შთელს ოჯახში
და დაარქვეს ქურდი ლადა:
არამც მანვნის,—ზურისაც კი
დაეკარგა საწუბალს მადა.

ზ. გოგიბედაშვილი





როგორ შეჩვიო

მაკრე მზე

(ჭავჭავიანი ლექსი)



მ დროს, როდესაც ღამე დღესე თრ-
ჯერ გველი იყო, ცხოვრობდა ახალ-
გახდა და მამაცი შემოხარი, სახელად მაკრე; ცხოვრობდა ის მო-
სუც დედასთან ერთად მთის კალთაზე, რომელსაც შემდეგ
მაკრის სახელოვან და საკვირო საქმეთა აღსანიშნავად, დაერქვა
მისი სახელი.

შრომის მოუვარე მოსუცის დრო უნდებოდა იუკის ფქვი-
ლისაგან კვერების მომზადებას. ალბად ღამე ამზადებდა ის
კვერებს რადგანაც მთელ დღეს იმათ მზეზე ამრობდა.

მაგრამ ის ამას ვერასოდეს ვერ ასწრობდა. გაჭყენდა თუ
არა კვერებს ღობეზე დილა ადრიან, საღამოს მოახლოვება
აიძულებდა სახლში შეეკანა, რომ ნამს არ გაეფუჭებინა.

მაკრის, რომელიც რამდენჯერმე შეესწრო დედის ასეთ შრო-
მას, ძალიან ეცოდებოდა იგი.

რამდენჯერმე შეევედრა იგი მზეს—მოწვალეა მოედო,
ცოტათი უფრო ნელა ევლო განურებულ ცაზე, რათა შესამ-
ლებელი უოფილიყო კვერების გამრობა.

მნათობი გულცივად ისმენდა მის ვედრებას.

და მაკრე შეუდგა ახალ საშუალების გამოძებნას, რომ მზე
უფრო მოწვალე გამსდარიყო.

მზის მოძრაობას დაუკვირდა და ბევრითად შეისწავლა. დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ მკუთ აღმოაჩინა, რომ მზე ყოველ დღე ერთ და იმავე დროს გადაივლიდა სოფლმე გალიაკალის ხეზე.

მაშინ ამხანაგების დახმარებით შეაგროვა მრავალი კოკოსის კაკალი და მათი ძარღვებისაგან დაგრიხა თოკი და ქაშანდი გააკეთა.

როდესაც შრომა გათავა, აცოცდა წვეტიან მთაზე, რომელსაც ახლა მის სახელს ეძახიან, და კლდეს ამოეფარა.

მზე არავითარ სიუბთს არ მოელოდა ჩქარა უახლოვდებოდა, რადგან ჩქარობდა დღე თავისი გზა რაც შეიძლება. მალე გაველო.

მაშინ ახალგაზდა მეომარმა დონიკრად და მარდად ესროლა თავისი ქაშანდი, და მზის ერთ სსივს შემოხვია.

თითქოს განგებ ეს სსივი ეველასე მსხვილი და დიდი იყო, და მზეც ძალაუნებურად შეჩერდა. მართალია მზემ თავი განთავისუფლა, როდესაც სსივი გატედა, მაგრამ მკუთ იმედს არ ჰკარგავდა. დაიჭირა ახალი სსივი, რომელიც ბირველსავით გადატედა.

როდესაც რამდენიმე სსივი დაიმტურა, მზე მიხვდა, რომ სახუმრო საქმე აღარ იყო და მტერთან ზავზე ლაპარაკი ჩამოაგდო.

ბოლოს მზე დასთანხმდა უფრო ხელა ევლო, რომ მოხუცისათვის კვერების გაშრობა გაუადვილებინა და ამის შემდეგ დღეები უფრო დაგრძელდნენ.

ზინა ანთაძე





კუდა-კუდა არაკმეზი

უვარჩინი მასწავლებელი



იას,—იტუოდა ხოლმე პატივცემული ვვან-
ჩალა,—ჩვენს დროში სწორედ რომ ნე-
ტარებაში არიან მოძღვრლები და მუსი-
კოსები. ეველსვან მოწონებული, ეო-
ველვან მიღებული დიდად დაფასებული და სასწავლებელთა
არიან. მხოლოდ ბედნიერება და კმაყოფილებაა მათი ცხოვრე-
ბა... აბა, ჩვენი ეოფა იმათთან რა ეოფაა?.. შერე? შვილებიც
რომ მოძღვრლებიც გამოუდისთ?! თუშცა ცხადია: ვინემ ბარ-
ტეები ბუდეში სსედას, ბუღბული განუწვევტილუ უძღვრის მათ.
აქ ძალაუნებურად შეისწავლი რაშეს.

და დიდებული აზრი დაეებადა თავში ევანჩალას: გადასწვევი-
ტა მოეწვია ბუღბული თავის ბახალეებისთვის სიმღერის მას-
წავლებლად.

აი, იწოვნა ერთი მარტოსელი ბუღბული და დაიქირავა,
რომ ღამ-ღამობით ბახალეს უძღვროს.

დიდსანს უძღვრა ბუღბულმა, ბევრი შრომა კასწია, რაც
კი შეეძლო ცდა არ დაუკლია.

ბოლოს ბახალეების დაფრენის დროც მოვიდა.

ევანჩალამ უთხრა ბუღბულს:

— აბა, ბატონო მასწავლებელო, ერთი მაჩვენეთ, რა ას-
წავლეთ ჩემ შვილებს?

შემდეგ მიუბრუნდა შვილებს:

— ხა, ბიჭებო, შემოსძახეთ ერთხმად, გუნდათ, ზირები კი ფართეთ დადეთ, რომ შორს გაისმას თქვენი სმები. დაე მთელმა ტყემ კაიგოს, რომ ხეში შვილებიც ბულბულეებსავით მღერინან...

ბახალეებმა დააღეს ზირები და დაიდრიბლეს:

— კუვაა—კუვაააა, კუვაა—კუვაააა,—კინაღამ დედაც კი არ გააერუეს.

მაშინვე გააკდეს შერცხვენილი და გაკიცხული ბულბული და ბებრუნანა უვანჩალა, მას შემდეგ უველას შესწივის, თუ როგორ ურცხვად მოატყუა იგი „უარგისმა მასწავლებელმა“, არაფერი კი არ ახწავლა მის ბახალეებს და დღეს რომ მათ სიმღერა არ იციან, ეს ბულბულის ბრალია.

ილ. გოგია



გამოცანები

(წარმოდგენილია გ. ლომთათაძის მიერ)

1

უზიყარ შუაში, არ ქაქვს ფასი
ჩამცქერია უველა თვალში.

2

დაფრგე თხილის კაკლის სელა
აძოვიდა დერგის*) სელა.




რეზუსი

(წარმოდგენილია დ. ელიოზაშვილის მიერ)



ლა



ს



ც

*) გურიასი დიდ ქალას დერგს ეძახიან.

3/94

საქართველოს
საქართველოს

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის.

დასურათებელი საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი **„ნაკადული“** წელიწადი
მეტამეტე. **ნაკადული“** **მეტამეტე.**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუიწინალი გამომდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან.—იმით. თვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან-ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მან.** გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. №8. Редакция „Накадули“, Головинский пер. №8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, №2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაისში — ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში — ლუდმილე მეგრელიძისთან. ბათუმში — ტროფიმ ინასარიძისთან ფოსტაში, ჭ. სამსონ ყაზიშვილთან — ქალაქის გამგეობაში. თელავში — ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში — კონსტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში — მეთოდე კაკაბაძისთან. გორში — ქეთევან ჯავახიშვილთან ჭინილა ლომოურთან. შიდათურაში — ივ. გომელაურთან. ხონში — მ. ი. ქავჭავაძისთან. მიხაილოვოში — გოორგი ნაკაშიძისთან. ოზურგეთში — სალომე ხუნდაძისთან, ლანჩხუთში — მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი შ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.